ბრძანება:№44. 442304538
თარიღი:14/02/2023

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 23 ივნისის №44.442217415 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის დანიშვნისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 ივნისის №44.44221743 ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 23 ივნისის №44.442217415 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა). ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 17 /ჩვიდმეტი/ პირით“.

ბ). ბრძანების მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა/. პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი -

კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. ირაკლი გიორგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ/. ნინო ცხოვრებაძე-ჭუმბურიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

დ/. დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ე/. გაგა სანდუხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვ/. შუშანა ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ზ/. ვარლამ გობეჯიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

თ/. ვალერი ყენია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთულის სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ი/. ეკატერინე ბოჭორიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადისტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სერვისების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

კ/. ვლასი გარდაფხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

ლ/. ნიკა კვერნაძე - ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონისა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი - კომისიის წევრი;

მ/. თეა გოლეთიანი - არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი სოხუმის“ პროექტების კოორდინატორი - კომისიის წევრი;

ნ/. ირინე ლომინაძე - ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატრო ხელძღვანელი - კომისიის წევრი;

ო/. ანდრო მარჯანიშვილი - შპს „მეტრი“-ს (ს/კ: 412685875) მთავარი არქიტექტორი - კომისიის წევრი;

პ/. ანტონ ჩიხლაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ჟ/. თინათინ ბერიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

რ/. რუსუდან ჩინჩალაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. №11/ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნდეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/

პეტრე ადამაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-საკონკურსო კომისია-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი